<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 433) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ“ საქართველოს მოქალაქე, სამხედრო ან სამოქალაქო პირები – მოხალისეები რომლებიც მონაწილეობდნენ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და საბრძოლო მოქმედებებისას გარდაიცვალნენ ან ამ საბრძოლო მოქმედებების დროს მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ მოქალაქეთა ოჯახის წევრებს;

2. 22^1 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“-„რ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებს კომპენსაცია დაენიშნებათ ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**